საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1749/01
23/02/2022

1749-01-2-202202231530

სს „ნენსკრა ჰიდროს“

მის: ი. ჭავჭავაძის გამზირი №34

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №22155 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლეკალმახეს ტერიტორიაზე ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის ფარგლებში, D12 სანაყაროს მოწყობის უბანზე წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოებს (წყალდიდობის ხარჯის გატარების სამუშაოები).

როგორც წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებიდან დგინდება, წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოები დაგეგმილია ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული D12 სანაყაროს მოწყობის უბანზე.

აღნიშნულ სანაყაროსთან დაკავშირებით, სამინისტროს 2021 წლის 14 სექტემბრის №9635/01 წერილით გეცნობათ, რომ წარმოდგენილი გამონამუშევარი ფუჭი ქანების №12 სანაყაროს მოწყობის პროექტის ჰიდროლოგიური ნაწილი, საჭიროებს გადამოწმებას საქართველოში მოქმედი, აპრობირებული (მიღებული) წყლის ხარჯის განსაზღვრის მეთოდების მიხედვით. შესაბამისად, იმისათვის, რომ წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოებზე (წყალდიდობის ხარჯის გატარების სამუშაოები) დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, საჭიროა, მოხდეს აღნიშნულ სანაყაროსთან დაკავშირებული საკითხების სამინისტროსთან სრულყოფილად შეთანხმება.

დამატებით გაცნობებთ, სანაყაროს ტერიტორიაზე გამავალ ძირითად ხევთან მიმართებით, გასათვალისწინებელია, რომ მითითებული ხევი მოქცეულია დახურული ტიპის წყალსადენში, რომლის ზემოთ განთავსებულია სანაყაროს ტანი. დახურული წყალსადენის ასეთმა განლაგებამ, შესაძლებელია გამოიწვიოს გარკვეული სირთულეები სანაყაროს ექსპლუატაციის დროს. ადგილის ჰიდროლოგიური და მორფოლოგიური რეჟიმიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მოხდეს მილსადენის მყარი ჩამონადენით გაჭედვა, რაც საფრთხეს შეუქმნის მთელი სანაყაროს მდგრადობას. იმისათვის, რომ მოხდეს ხევის წყალდენის ექსპლუატაცია და მონიტორინგი, მიზანშეწონილია, რომ იგი გაყვანილ იქნეს

ღია არხში. ვინაიდან, სანაყაროს მოწყობის პირობებში, ხევის ბუნებრივი ჰიდროლოგიური რეჟიმი მნიშვნელოვნად შეიცვლება, სანაყაროს ტერიტორიაზე წყლის გავლა და ძირითად მდინარეში მისი ჩადინება უნდა იყოს სათანადოდ დარეგულირებული. კერძოდ, არხი უნდა იყოს მოპირკეთებული, უნდა მოეწყოს წყალმიმღები და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ჩამქრობი ჭები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, განახლებული გამონამუშევარი ფუჭი ქანების №12 სანაყაროს მოწყობის პროექტის სამინისტროსთან შეთანხმების შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე